ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 42-53

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 28/12/2023, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.017165) დადგენილების პირველი მუხლის „ე" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი №5)

ა) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ტრასტუზუმაბი" მოსარგებლეებს გადასხმის სქემიდან გამომდინარე, ინტრავენური ფორმის შემთხვევაში, უფინანსდებათ მაქსიმუმ 18 ინფუზია (სხვადასხვა რეჟიმით: რეჟიმი 1: ინფუზია 3 კვირაში ერთხელ - პირველი ინფუზია - 8მგ/კგ, 17 ინფუზია - 6მგ/კგ; რეჟიმი 2: ინფუზია კვირაში ერთხელ - პირველი ინფუზია - 4მგ/კგ, 11 ინფუზია - 2მგ/კგ; ინფუზია 3 კვირაში ერთხელ - 15 ინფუზია - 6მგ/კგ; რეჟიმი 3: ინფუზია კვირაში ერთხელ - პირველი ინფუზია - 4მგ/კგ, 51 ინფუზია - 2მგ/კგ) და და კანქვეშ შესაყვანი ფორმის შემთხვევაში ფიქსირებული დოზა 600 მგ ყოველ 3 კვირაში ერთხელ, პაციენტის წონის მიუხედავად, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტები „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი", მოსარგებლეებს უფინანსდებათ

მაქსიმუმ 18 ინფუზიის (პერტუზუმაბის საწყისი დოზა 840 მგ, ყოველი მომდევნო 420მგ, ხოლო ტრასტუზუმაბი ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით) მოცულობით. ხოლო მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტი „ფესგო“ მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 18 ინფუზიის (საწყისი დოზა (1200მგ+600მგ+30000ერთეული) / 15მლ, ყოველი მომდევნო (600მგ+600მგ+20000ერთეული) / 10მლ მოცულობით (ხელშემწყობი დოზა).“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 15 აგვისტოდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე